ENERGO-PRO

ENERGO-PRO GEORGIA
WEST GEORGIA CENTRAL BRANCH
5 Nikea street, 4 lane
4600 Kutaisi, Georgia

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია"
დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალი
ნიკეას ქ. მე-5 ჩიხი, N 4
4600, ქუთაისი, საქართველო

მოქალაქე დათუნა ალიხანაშვილს
პირადი № 60001008789

მის.: ქ. ქუთაისი, სულხან-საბას გამზ. № 69, ბინა № 43
ტელ.: 597 47 77 22

ს/ს ენერგო-პრო ჯორჯია
დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალი
O.№ 20915096
"20" 05 2024
JSC ENERGO-PRO GEORGIA
WEST GEORGIA CENTRAL BRANCH

წინადადება ჯარიმის სახით დაკისრებული თანხის ნებაყოფლობით გადახდის შესახებ

ბატონო დათუნა!

ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯიას" დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განმხილველი კომისიის 2024 წლის 18 აპრილის № ცფ-1080-24 დადგენილებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96^1-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის - ელექტროენერგიის განმეორებით დატაცებისთვის, ადმინისტრაციული სახდელის სახით დაგეკისრათ ჯარიმა 100 (ასი) ლარის ოდენობით, რომელიც უნდა გადაიხადოთ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

აღნიშნული დადგენილება თქვენ ჩაგბარდათ 2024 წლის 22 აპრილს და იგი ძალაში შევიდა მისი გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, კერძოდ, 2024 წლის 3 მაისს. აქედან გამომდინარე, თქვენ ვალდებული ხართ აღნიშნული წინადადების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში გადაიხადოთ დადგენილებით დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი 100 (ასი) ლარი, რომელიც ჩარიცხულ უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ საბანკო ანგარიშზე და დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ფილიალში (მის.: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. მე-5 ჩიხი, №4) გადახდიდან უმოკლეს ვადაში წარმოადგინოთ შესაბამისი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი), ან გამოაგზავნოთ იგი ელექტრონული ფოსტის საშუალებით მისამართზე: tariel.shvangiradze@energo-pro.ge.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თანახმად, „ელექტროენერგიის ან ბუნებრივი გაზის (აირის) დატაცების, ასევე სასმელი წყლის უკანონო მოხმარებისა და წყალარინების ქსელით უკანონო სარგებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და იძულებით აღსრულების წესების" დამტკიცების შესახებ სემეკის 2010 წლის 12 აგვისტოს №14 დადგენილების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტისა, შეგიწყდებათ ელექტროენერგიის მიწოდება თანხის გადახდამდე ერთი თვის ვადით, ხოლო საბოლოოდ ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დაჯარიმების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება იძულებით აღსასრულებლად მიექცევა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები:

Tel: 032 247 17 07 | Email: Info@Energo-pro.ge | Internet: www.energo-pro.ge | ს/კ 205169066

სახელმწიფო ბიუჯეტი, მიმღები - სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი - TRESGE22;
ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში - № 200122900;
სახაზინო კოდი - 300183247
დანიშნულება - ელექტროენერგიის დატაცებისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდა.

პატივისცემით,

ედიშერ ნუცუბიძე,
ფილიალის დირექტორი